№ 36. 17 თებერვალი, სამშაბათი. 1866 – 1881 17 თებერვალი, სამშაბათი. № 36.

დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

რედაქცია

გალავნის პროსპექტზე თ. ივ. შუხრანსკის სახლებში კლუბის ქვემოთ.

ხელის-მოწერა

მიიღება თფილისში „დროებაში“, „ივერიის“ რედაქციაში, ქუთაისში „დროებაიოვერიის“ აგენტთან ი. ჭეიანისთან ხილაზე. განაცხადები: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“-„Иверіи“.

„დროება“-„ივერიის“ ფასი

		წელიწადში.	6 თვის	3 თვეს
„დროება“ და „ივერია“ ერთად		14 მან.	8 მ.	5 მ.
ცალკე	„დროება“	9 მან.	5 მ.	3 მ.
	„ივერია“	7 მან.	4 მ.	2 მ.

ფასი განცხადებისა

დიდი ასოებით ასოზე 4 კაპ. „წვრილ-ასოებით“ ასოზე 2 კაპ. მოკვრულად ასოზე ნახევარი კაპ. „ორ-ფერ-ფერად“ ასოზე 3 კაპ. ასოზე შეოთხედი კაპ.

თუ ხაჭიროება მოითხოვს, რედაქცია განაწყობს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. და-უბეჭდელ წერილს რედაქცია ფოსტით კერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვ ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება „დროებაში“-„ივერიის“ აგენტთან.

ცალკე ნომერი „დროებისა“ დაჯდ 5 კაპ.

ამ 1881 წელს

დროება-ივერიის

გამოცემასედ

ამ 1881 წელს ყოველ-დღიური გაზეთი „**დროება**“ გამოდის იმავე პროგრამმითა და რიგით და იმავ თანამშრომელების დახმარებით, როგორც აქამდისინ გამოდიოდა. როგორც იმ თავიდგან, გაზეთის დაარსებიდამვე ცდილობდა რედაქცია, რომ მუდამ წელიწადს, ცოტ-ცოტათი მაინც, შეძლებისდა-გვარად, გაეკარგებინა გაზეთი, ისე ამ წელსაც ეცდება და იმედი აქვს რომ ზოგიერთი სასიკეთო ცვლილება შემოიღოს გაზეთში და გააუმჯობეროს იმის გამოცემა.

„**ივერია**“ კი ამ წლიდამ გამოდის თვეე-და-თვე, **ახალის**, უფრო **ვრცელის** პროგრამმით და **ახალ** თანამშრომლების დახმარებით. **ეველა** ნომერში იქნება არა-ნაკლებ 4 დიდის თაბახისა.

რედაქციას იმედი აქვს რომ ჟურნალი გამოსცეს ყოველის თვეის პირველს რიცხვს.

ხელის-მოწერა მიიღება:

თბილისში: „დროება-ივერიის“ რედაქციაში, ბალავინის პროსპექტზე თ. ივ. კ. მუხრანსკის სახლებში, კლუბის ქვემოთ.

ქუთაისში: რედაქციის აგენტთან ბ. ი. ჭყონიასთან (სილაზე, მირიან ჭყონიას სახლში).

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა დაიბარონ გაზეთი და ჟურნალი: **Въ Тифлисъ. Въ редакцію Дроэба-Иверіи.**

ფ ა ს ი:

	1 წლით	6 თვით.	3 თვით.
„დროება“ და „ივერია“ ორივე ერთად —	14 მან.	8 მან.	5 მან.
„დროება“ ცალკე — — —	9 „	5 „	3 „
„ივერია“ ცალკე — — —	7 „	4 „	2 „

სხვა ვადით ხელის-მოწერა არ შეიძლება.

ხვედრი ფული ხელის-მომწერმა ჟურნალ-გაზეთის დაბარებისა-თანავე უნდა გამოგზავნოს რედაქციაში.

რედაქტორები „დროება-ივერიისა“ { ილია ჭავჭავაძე, სერ. ძესხი.

დრამატიული საზოგადოების მართველობა აცხადებს, რომ ამ საზოგადოების წევრებს შეუძლიანთ შემოიტანონ წლის ფული ხუთ-ხუთი მანეთი ჰირველი მარტამდი, შემდეგი ადრესით: თბილისს, კასსირს გ. თუმანიშვილს ბარიათინსკის ქუჩაზე, სახლში № 8. (6—1)

ტელეგრამმები

(ხალხის მოგების საგვერდოდ)

პეტერბურღი, 14 თებერვალს. 30 იანვარს უმაღლესად დამტკიცდა მიენიჭოს სეკრეტარს კროტს შინაური საქმეთა მინისტერის უფლება, როგორც ტუსაღებისთვის საზრუნველთ დაწესებულ საზოგადოების თავსმჯდომარისა სტუსაღო მმართველობის საქმეთ გამო. იმას ექნება უფლება მიიღოს მონაწილეობა უმაღლესს საკელმწიფო დაწესებებში, სენატში და საზოგადოთ ეოგელ გვარი უფლება მინისტრისა სატუსაღო საქმეთ შესახებ და ამ უფლების ძალით ის იქნება მიწერ-მოწერაში სხვა-და-სხვა დაწესებებთან.

დღეს წავიდა სამხედროს გარეთ მარკიზი ცზანგი. იმას ახლავს ორი სეკრეტარი და ოც-და-ათი კაცი სვიტთ.

დღეს მოვიდა კიევიდამ ჰეტერბურღს დრენტელნი.

„გოლოსი“ სწერს, რომ ჰირველი სეკრეტარი ჩინეთის მისსიისა დღეს მიეგზავნება ახლად ხელ-მოწერილი ტრაქტატით ჰეკინში.

პეტერბურღი, 15 თებერვ. „გოლოსი“ სწერს: ჩვენი და ჩინეთის მმართველობა დათანხმდნენ, რომ ამ უკანასკნელს დაეთმოს ყულჯის მხარე, დარინგი, თეკესი, ტიანჩანის ვიწროება, რომელიც კოშკარიდამ ქალაქს ავსში მიდის და ნაოფიერი ადგილები საშუალ ავსიაში უკეთესი და უმაგრესი რუსის ბოსტიციით.

იმერეთის სამღვდელოებისათვის

ტფილისი, 16 თებერვალს.

ერთი სასიამოვნო ამბავი გვაქვს ჩვენ დღეს იმერეთის სამღვდელოებისათვის საცნობელად.

მოგეხსენებათ, რომ იმერეთის ეპისკოპოსის ყოველად-სამღვდელო ბაბრიელის თაოსნობითა და მეცადინეობით ამ რამდენიმე წლის წინათ იყო აღდგენილი დაწყებული ხსენებულ სამღვდელოებისათვის დიდათ საყურადღებო საქმე — ჯამაგირების დანიშნვა.

ბევრი დაბრკოლება აღუდგა წინ ამ საქმეს. მაგრამ ბოლოს წასრულ წელს მიეცა მსველლობა: კავკასიის ნამესტნიკის მთავარ სამმართველო დათანხმდა იმერეთის სამღვდელოებისათვის ჯამაგირების დანიშნვაზედ და ეს საქმე გაიგზავნა დასამტკიცებლად პეტერბურღში უმაღლესს მთავრობასთან.

ამ დღეებში იქიდამ მოვიდა ამ ჯამაგირების დანიშნვის თანხმობა.

მაგრამ, საუბედუროთ, იმერეთის სამღვდელოებასა მთლად და სრულად ის ჯამაგირები არ მიეცემათ, რამდენიც მოთხოვნილი იყო, რადგან ხაზინაში იმდენი ფული არ არისო; ჯამაგირებისათვის ნათხოვნი იყო წელიწადში ას-ათი ათასი მანეთი; ამ თავით მიეცემათ ძხოლოთ ოც-და-ხუთი ათასი მან. და შემდეგში თანდა-თან მოემატებათ.

ეს ამბავი სასიამოვნო და საყურადღებო უნდა იყოს არა თუ მარტო იმერეთის სამღვდელოებისათვის, არამედ საზოგადოთ მთელ იმერეთის ხალხისათვისაც. ცხოვრების საშვალების მომატება, უეჭველია, საკეთილოდ დაეტყობა ერთსაც და მეორესაც: სიღარიბისაგან აღარ იქნება შეეიწროებული სამღვდელოება და ამის გამო აღარც იძულებული იქნება, რომ თავის მრევლი ისე შეაწუხოს სხვა-და-სხვა მღვდელთ-მოქმედების შესრულების დროს, როგორც ახლა ისმის ხშირად. ნივთიერის მხრით ცოტათი მაინც დაკმაყოფილებულ სამღვდელოებას უკითესი ზნეობითი და სულიერი გავლენა ექნება ხალხზედ, ვინემ ახლა. ამას მოველით მით უმეტესათ, რომ შემდეგში უფრო განათლებული და ნასწავლი მღვდელები წავლენ სოფელში, ვინემ ახლა არიან.

ეველა ამას გარდა არის კიდევ ერთი გარემოება. რომლის გამოც ჩვენ ასე სასიამოვნოდ მიგვაჩნია იმერეთის სამღვდელოებისათვის ჯ-მაგირების დანიშნვა. ეს ის გარემოება გახლავთ, რომ, როგორც შეეიტყვეთ, ხსენებულ სამღვდელოებას განზრახვა აქვს, ჯამაგირიდამ რამდენიმე წლის განმავლობაში მესამედი თუ მეოთხედი ნაწილი გადასდვან იმ სასულიერო სემინარიის გასახსნელად, რომლის დაარსებასაც ძუთაისში აპირებენ.

ამ უკანასკნელ საგანზე ჩვენ კიდევ გვექნება შემდეგში სჯა. ახლა მხოლოთ იმას ვიტყვით, რომ ამ გვარი მოქმედება იმერეთის სამღვდელოებისა, ამ გვარი თავ-განწირული შეწირულობა მომავალ სემინარიის სასარგებლოდ ამტკიცებს — თუ რამდენად კარგათ სმენიათ იმათ თავიანთ შვილების აღზრდისა და სწავლა-განათლების საჭიროება. ამ საქმეში მთელი ჩვენი პატარა ქვეყანა თანაუგრძნობს იმათა.

ახალი ამბები.

ძუთაისის გუბ. სახალხო სკოლების ადრინდელ დირექტორის ბ. მარსოვისაგან მივიღეთ ჩვენ შემდეგი წერილი გაზეთში დასაბეჭდათ:

„თქვენი პატივცემული გაზეთის მე-31 ნომერში იყო ნათქვამი რამდენიმე სიტყვა იმის შესახებ, რომ მე ძალ-დატანებით და ჩემდა უნებურად გადამიყვანეს ძუთაისის გუბ. სახალხო სკოლების დირექტორის თანამდებობიდამ.

„უმორჩილესად გთხოვთ, ამ საგნის შესახებ, გამოაცხადოთ, რომ ძალ-დატანებით და ჩემ-და-უნებურად ძუთაისიდამ არავის არ გადაუყვანივარ და ვერც გადამიყვანდნენ. ეს იყო ჩემი ნება და სურვილი.

„ესარგებლობ ამ შემთხვევით, რომ ჩემის მხრითაც დიდი მადლობა გამოუცხადო, როგორც ძუთაისის გუბერნიის საზოგადოებას, აგრეთვე ჩემ ხელ-ქვეეით მყოფ სოფლის მასწავლებლებს, რომელთაც დიდი თანაგრძნობა და დახმარება აღმოჩინეს ჩემის მძიმე თანამდებობის აღსრულების დროს“.

ვ. მარსოვი.

* * *

ბაზ. „პორიადოკში“ დაბეჭდილია შემდეგი შენიშნვა:

„სარატოვიდამ გვატყობინებენ, რომ ჯერ კიდევ არ ისპობა უმიზნო და ძალად-ღირსებული ჩერქესების გადმოსახლება კავკასიიდამ რუსეთის შუაგულ გუბერნიებში. ამნაირის ძალ-დატანებით გადასახლებით კავკასიის ხალხების განახლება და განათლება არ შეიძლება; მაშასადამე აქ სამნაირი ზარალია: ხაზინისათვის ტყვილ-

უბრალოდ ფულის დაკარგვა, რუსის ხალხის ადგილ-მამულს შემცირება და ჩერქეზებისათვის — ზნეობითი და ფიზიკური წვალება სამშობლოს მოცილების გამო. მაშ ვისთვის არის საჭირო ამგვარი ადმინისტრაციული განკარგულება?“

* * *

მოსკოვის ერობის სხდომაზე ერთს ხმოსანთაგანს დ. სამარინს შეუტანია წინადადება, რომ სოფლის მღვდლის ამორჩევაში, თვითონ მრევლსაც ჰქონდეს ხმაო. ერობას მიუღია ეს წინადადება და გადაუწყვეტია უმაღლესს მთავრობას წარუდგინოს ეს აზრი დასამტკიცებელად.

* * *

ბაზ. „ალეკაზში“ იწერებიან, რომ აგრონომი ხოჯაევი იგზავნება ამ დღეებში ყირიმში იმ განზრახვით, რომ ადგილობრივ შეისწავლოს—თუ რა საშუალებითა და ლონის-ძიებით შეიძლება ფილოქსერით აავათმყოფის ვაზის მორჩენა და თვითონ ფილოქსერის მოსპობა.

* * *

ბავლილ პარასკევისათვის დანიშნული ჩვენი ქალაქის რჩევის სხდომა ვერ შესდგა, რადგან ხმოსნების საკმაო რიცხვი არ გამოცხადდნენ.

* * *

მოგეხსენებათ, რომ გამოჩენილის რუსის მწერლის ბრიბოედოვის 50 წლის სადღესასწაულოდ თფილისში იყო რამდენიმე წარმოდგენა ამ მწერლის საუცხოვო კომედიისა „ვაი ჭკუისაგან“ და მაშინვე შესდგა აქ კომიტეტი, რომელმაც იკისრა ფულის მოგროვება ბრიბოედოვის სახელობით სტიპენდიის დაარსებისათვის.

ეს კომიტეტი აცხადებს ახლა, რომ 4,000 მან. მოვაგროვეთო და ამ ფულის სარგებლით აქაურს კლასიკურ გიმნაზიაში ერთი სტიპენდია დაინიშნებაო, რომელსაც მიიღებს ხოლოთ ადგილობრივ მცხოვრებელის შვილიო.

* * *

ქუთაისიდამ გვწერენ:

„თერთმეტს ამ თვისას, საღამოს 10 საათზე, მაზრის სამართველოს გვერდით, ბ. ხელთუფლიშვილის დაქნებთან, ავაზაკებმა მოჰლესეს ერთი ახალგაზდა მეთამბაქოე ფალაქისშვილი და იმ დროსვე, ზემოხსენებული ადგილის მახლობლად (საყასბოსთან) თავს დაეცნენ ტფილისიდამ ჩამოსულს მეთარეს, გაცარცვეს და მძიმედ დასჭრეს.

„ეაკი არ ამოჩენილა მშველელი: ამ ბოროტ-მოქმედების ჩადენის ადგილას დღისითაც ცოტა ხალხი დაიარება და იმ დროს კი, საღამოს 10 საათზე, სულ არვინ ყოფილა, საბრალო მსხვერპლთა და ავაზაკებს გარდა, რაც შეეხება პოლიციას, იმისაგან დიდი ხანია იმედ-გადაწყვეტილნი ვართ...

„პოლიციამ მხოლოდ მეორე დღეს შეიტყო ეს საქმე და მაშინ კი იმ წ ამსვე მობძანდა ბატ. პოლიცი-მეისტერი შესაფერის ამალით და ექიმით მსხვერპლის შესამოწმებელად...

„ბაიხსენოს მკითხველმა რაც ამ პოლიციაზე ითქვა „დროების“ № 29-ში და ადვილად მიხვდება ქუთაისელების შიშს, რომლის გამო თუ არ რამდენიმე კაცი ერთად და ისეც დაიარაღებულნი, ისე ვერაფინ გამოსოლა შებინდების შემდეგ.“

* * *

ჩქიდამეე გვაცნობებენ, რომ ერთს გლეხს უჩივლია ყოველად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსის ბაბრიელის წინაშე ერთ მღვდელზე—ჯვარის წერის ფასად 20 მან. გადამახდევინაო. ყოველად-სამღვდელოს გაუკიცხავს ის მღვდელი, ჯარიმა ვადაუხდევინებია და განკარგულება უქმნია, რომ ამიერიდამ თითო და ორ-ორ მანეთზე მეტი არ გაბედონ მღვდლებმა ჯვარის-წერის ფასი აიღონო.

წერილი რედაქტორთან.

I

ბატონო რედაქტორო!

თებერვლის ნომერში ჟურნალ „ივერიაში“ ნათქვამია რამთენიმე სიტყვა ჩვენ სასოფლო მეურნეობის პროეკტზედ.

ამისთანა განხილვას პროექტისას, სწორე მოგახსენოთ, ჩვენ სრულებით არ მოველოდით. როგორცა ჰსჩანს, ჟურნალს გაკვრით გადაუვლია თვალი იმ საფუძველზედ, რომელზედაც, ჩვენის აზრით, დამოკიდებულია კეთილ-დღეობა ჩვენის მამულისა. ნუთუ ამისთანა გარჩევა პროექტისა მოვალეობაა ჟურნალისა?...

ჟურნალს უნდა ეჩვენებინა თავის მკითხველებისათვის შინაარსი პროექტისა და დაწვრილებით გაერკვია იმისი ნაკლულევანება, ანუ ღირსება. არც ერთი არა ჰსჩანს იმის „მიმოხილვაში“.

რადგანაც ჩვენ ვერა ეხედავთ ჟურნალისაგან ნამდვილ გაკვლევას პროექტისას, ამისთვინ ვართ ეჭვში: ჟურნალს მოსწონს გავრცელება ჩვენ ქვეყანაში სასოფლო მეურნეობის სკოლებისა იმ წესზედ, როგორც პროექტში ნათქვამია, აგრეთვე ხედავს ამისთანა სასწავლებლების დაარსების აუცილებელ საჭიროებას ხალხისათვის, თუ არა?

ჩვენ იმ აზრით დავბეჭდეთ „დროებაში“ პროექტი, რომ ყველა კერძო პირებს, უმეტესათ კი ჟურნალს და გაზეთს, თამამათ გამოეთქვათ თავისი შენიშვნა და მითი ეჩვენებინათ ჩვენთვის და ხალხისათვის ის მტკიცე გზა, რომელზედაც უნდა დადგეს ყველა მამულის მეპატრონე და გლეხი.

პროექტი შეიცავს ხალხის აწ-მყოს და იმის მომავალს ზნეობის და სარჩოს გაუმჯობესობის ერთს სახსართაგანს. თუ ესრეთ ხედავს ჟურნალი-პროექტის შინაარს, მაშ რა არის იმისი გულგრილობა? ხალხის აღზრდაზედ ვინ უნდა იფიქროს, თუ არ იმ ნაწილმა ჩვენის საზოგადოებისამ, რომელსაც მიუღია სწავლა და განათლება?

ეყო ჩვენ ქვეყანას აჭნობამდენ ძილი. ვგონებთ, დრო არის მივცეთ ყველამ ერთმანეთს მხარი, ვისაც როგორ შეგვიძლიან, და დავიხსნათ ბნელ საბყრობილიდგან ჩვენი მოძმენი, დარჩენილნი უკან უცოდნობით.

როგორც ჩვენა ვსთქვით, ჩვენს განმარტებითს წერილში, ჩვენი ნამდვილი სოფლიური სახლოსნობა გულს უკლამს კაცს. ჩვენი მამულის მეპატრონენი და გლეხნი ერთსა-და-იმავე დროსა მდიდარნიც და დავრდომილნიცა არიან. მდიდარნი არიან იმით, რომ მათ თვალწინ უძევსთ ბუნებითი სიმდიდრე თავიანთ მამულებისა, მაგრამ იმავე ჟამს ხელ-მოკლებულნი არიან, რადგანაც უცოდნობის გამო, იმათ ვერ შეუთვისებიათ თავიანთი მამულების გამორჩენის ძალა. ამ უკანასკნელის მიზეზის გამო, იმათი შვილები იმ ცოდნით და წე ით სცხოვრებენ და ასრულებენ თავიანთ ცხოვრებას, როგორც იმათ მამა-პაპას უანდერძებია. იმათ არა აქვსთ საშუალობა ჩამოიყვანონ ქალაქში თავისი შვილები და მისცენ მათ სწავლა და განათლება.

მანამ ჩვენ არ დაუახლოვდებით სოფელში ხალხსა, მანამ იმის ჭირსა და ბედსა ვერ გავიგებთ. ეს ყველა, ვგონებ, კარგათ ესმის ჩვენ ჟურნალ „ივერიას“, მაგრამ იგი მოექცა ჩვენ პროექტს ისე, ასე გონია ერთ სტაქან წყლის დალევაზედ ჰქონდეს ლაპარაკი!..

მართალია, სკოლა იხსნება სოფელ წინამძღვრიანთ-ქარში, საგურამოს ბარში; მაგრამ საგურამოს ბარი განა არ არის ნაწილი იმ ჩვენი საყვარელი მამულისა, რომელსაც უწოდებენ საქართველოს? განა სკოლის დამაარსებელი ხსნის სკოლას თავისთვინ და არა ხალხისათვის? განა ეს პირველი სასოფლო მეურნეობის სკოლა ჩვენ ქვეყანაში არ იქნება ყველასთვის ჩვენში მაგალითათ და არ ექნება მაზედ რაიმე გავლენა?!.

ჟურნალს ყველა ქვეყანაში დიდი გავლენა აქვს ხალხზედ. ამისთვინ გამოთქმული ჟურნალისაგან აზრი ხალხის საჭიროებაზედ იქმნება იმისაგან ღირსად დანერგილი თესლი. ამისთვინ ჩვენ მივაქციეთ ყურადღება „ივერიის“ „მიმოხილვას“.

სასოფლო მეურნეობის სწავლაზედ და მეურნეობის სკოლების დაარსებაზედ რუსეთში მეურნეობის საზოგადოებას და ლიტერატურას დიდი ბაასი აქვსთ. აქნობამდინ ვერ გამოუგნიათ, როგორ დაბოლოვონ ეს მძიმე საქმე. რუსეთის ეკონომიური საზოგადოება (**имъ. вольно-экономическое общество**) რამდენიმე წელიწადია ცდილობს შეადგინოს წესდება სასოფლო მეურნეობის სკოლისა და დღევანდლამდინ იმ საზოგადოებას ვერ დაუსრულებია თავისი შრომა.

აქედგან ყველა გაიგებს, როგორ ადვილია ახალის წესდების შედგენა. მაგრამ ჩვენ ჟურნალ „ივერიას“ როგორცა სჩანს, არ მიუღია ეჭვიანი გარემოება საქმისა მხედველობაში.

ამითი ვათავებ ეხლა ამ შენიშვნას. ვისაც სურვილი აქვს ნამდვილათ გაიცნოს ჟურნალ „ივერიის“ მძიმე გარჩევა, იმას შეუძლიან მიიღოს ცოტაოდენი შრომა და გადაიკითხოს ოც-და-თერთმეტ ნახევარი სტრიქონი, დაბეჭდილი პროექტის მნიშვნელობაზედ ჟურნალში, თებერვლის ნომერში.

იდია წინამძღვრიშვილი.

II

ბატონო რედაქტორო! ბოდიოთ ამ შენიშვნას თქვენს პატივცემულ გაზეთში ადგილი მისცეთ.

სიხარულით და განუსაზღვრელი აღტაცებით ველოდით ჟურნალი „მიმოხილვის“ გამოცემას; სწორეთ გითხრათ ამ ჟურნალის გამოცემა, როგორც სხვა ჟურნალ-გაზეთების დაბადება ქართულ ენაზე, სასიხარულო და სათანაგრძნობო მოვლენად მიგვაჩნდა ჩვენ ღარიბ ლიტერატურისათვის.

სიხარულით ვეგებებოდით—მეთქი და ეს სიხარული და თანაგრძნობა საქმითაც დავუმტკიცეთ: ამ „მიმოხილვის“ რედაქციის სასარგებლოთ საშინელ ყინვა-სიცივეებში ჩვენ წარმოდგენა მივეცით და შეკრებილი ფული რედაქციას გადავეცით.

„მიმოხილვის“ დაბადებამდი სიკვდილი უკვე მოგეხსენებათ; მაგრამ ჩვენი გაგზავნილი ფულების თაობაზე კი არაფერი ვიცით, თუ რა საზოგადო საქმეს მოახმარეს.

ამის გაგება ჩვენთვის მისთვის უფრო უსაჭიროესია, რომ ის ფულები (36 მანეთი) საზოგადო საქმეს შეესწირეთ და არა კერძო პირებს.

რადგანაც კერძო წერილებით ვერაფერს გავხდით, იძულებული ვართ მოვითხოვოთ ის ფულები გაზეთით: იმ ფულებს ჩვენ უფრო კარგ საქმეში მოვიხმარებთ.

ბორას ქართულ სტენის მოყვარეთა:
მ. ბერესელიძისა,
ს. ძღვალოვისა,
ნ. მგალობელოვი,
ს. ნათაძე,
თ. ხუსკოვაძე,
ს. ძითიკაშვილი,
ს. მგალობელიშვილი,
ვ. ადსიანშვილი.

რუსეთი

—

შინაგან საქმეთა სამინისტროში ამ ჟამათ სჯა არის იმის თაობაზედ, რომ ტუსაღების გარდაყვან-გარდმოყვანა, როგორმე სხვაფრივ მოაწყონ და არა რკინის გზით.

—

გზების სამინისტროში არის იმაზედ მოლაპარაკება, რომ სხვადა-სხვა რკინის გზეების კერძო მმართველობებზედ უფრო ვრცელი ყურადღება და გავლენა იქონიოს მმართებლობამ.

—

ხმებია, რომ სკობელევი გამოუხმიათ და მის მაგივრათ დაუნიშნავთ ევროპატკინი.

—

სახალხო განათლების სამინისტროს განზრახვა აქვს, ყოველ ქალაქში, რომელშიაც უნივერსიტეტი, დაარსოს უმაღლესი ქალების კურსი.

—

ქ. ხარკოვში გაუხსნიათ სხდომა ექვსი მაზრის ეროობის წარმომადგენელთა, ექიმების თან-დასწრებით დიფტურიტზე მოსალაპარაკებლათ.

—

მინისტრების საერთო რჩევით გარდაწყდა, რომ უნივერსიტეტებს სრული თვით, მმართველობა მიენიჭოს. ამას გარდა საერთო სუფრის, სასტუდენტო ბიბლიოთეკების, კასების შედგენა და გახსნა არ დაეშალოსთ სტუდენტებსაო.

უცხოეთი

საფრანგეთი. ვიქტორ ჰუგო შეჰპირებია ირლანდიის რევოლიუციონერს პარნელს, რომ დასწერს ცხლანდელ ირლანდიის მდგომარეობაზედ რომანს სახელად: „დამჩაგვრელნი და დაჩაგრულნი“!

დეპუტატთა პალატამ მოისმინა ლუი ბლანის სიტყვა სიკვდილით დასჯის მოსპობაზედ. ამ გვარი სასჯელის წინააღმდეგნი არიანო, უთქვამს ლუი ბლანს, მთელი ქვეყნის გამოჩენილი, მეცნიერნი და გონიერი კაცებიო. უმეტეს ნაწილს ევროპის სახელმწიფოებში და ამერიკაში გაუქმებელია ეს სასჯელიო. თვით რუსეთშიაც ალარ არია ეს წესი გარდა პოლიტიკურ დანაშაულ ობას. თუ ბერმანიის პარლამენტმა ისევ აღადგინა ეს სასჯელი, ამის მიზეზი თ. ბისმარკი იყო და მხოლოთ ხუთი ხმის უმეტესობა. პირველი რევოლიუციის და 1848 და 1870 წ. შემდეგ ხშირად თხოულობდენ ამ წესის გარდადებას. რესპუბლიკის პრეზიდენტმა, თავის უფლების ძალით, თითქმის გააუქმა ეს წესი; მაგრამ ეს არ კმარა. თვით კანონია ვალდებული, რომ გააუქმოს ეს წესიო. ინგლისში ჰკლავენ, დამნაშავეთ ოთხკედელ შუა. საფრანგეთს ჰსურს, რომ ეს წესი შემოიღოს ეხლაო.

რათ უნდა იმოქმედოს მმართველობამ, სიძნელეში, დამალულად, თითქმის რამეს აშავებსო? ესე მხოლოდ ავაზაკები მოქმედობენ. სამართლიანობა, კაცთ-მოყვარეობა თხოულობს, რომ ამ გვარ ბარბაროსულ სასჯელს ბოლო მოეღოსო.“

დიდის აღტაცებით მიუღია დეპუტატთა პალატას ეს ლუი-ბლანის სიტყვები და დაუდგენია მიიღოს მხედველობაში ეს აზრი.

—

სპარსეთი. სპარსეთი კიდევ მოელის ძურთებას აჯანყებას. ამის გამო სპარსეთის ელჩს ვენაში მიუვიდა მიწერილობა, რომ ავსტრიის მმართებლობისაგან იყოდოს 24,000 თოფი და 18 ზარბაზანი.

—

ოსმალეთი. საიდ და ასსიმ ფაშებს გამოუცხადებიათ ინგლისის ელჩის ბოშენისათვის, რომ პორტა ეპირსა და თესალიას მხოლოდ იმ შემთხვევაში დაუბრუნებსო საბერძნეთს, როდესაც საბერძნეთი ბრძოლის ველზე დაამარცხებსო იმას.

ერთი ოსმალური ოფიციალური გაზეთი ამბობს, პორტამ გარდასწყვიტაო, რომ დაუყოვნებლივ განდევნის ბერძნებს თავის საბძანებლოდამ, თუ საბერძნეთი ცოტა უმართებულად მოიქცა იმათ შორის ატეხილს განხეთქილებაში.

პორტას უკითხავს რუსეთისათვის, თუ ვინიცობაა შეეტაკნენ ისა და საბერძნეთი, უნდა იქონიოს თუ არა ოსმალეთმა იმის იმედი, რომ რუსეთი შეაჩერებს ბოლგარიას, რომ ამანაც არ აუტეხოს რაზე ოსმალეთს.

ოსმალეთს ჰყავს ეპირში და თესალიაში 40,000 კაცი ჯარი—საბერძნეთს კი 17,600 მდე.

მწერლობა

ვეფხის ტყაოსანი.

(მეორე სხდომა რედაქციისა.)

ბევრი დამსწრე.

უფრო ბევრი მოასწრეს და უფრო საინტერესო ცვლილება მოახდინეს პოემაში, ვინემ პირველს საღამოს.

სხდომის დასაწყისში, აკაკიმ წარმოსთქვა რამდენიმე შენიშვნა იმ ცვლილებაებზე, რომელიც წინა საღამოს მოახდინა რედაქციამ. მისი აზრით: ა) რედაქციას ტყუილათ უნებია, რომ „მისდა საქებრათ“-ს მაგიერ „მისად საქებრათ“ მიუღია, როგორც უკანასკნელი რედაქცია, ბ) რედაქციისაგან მიღებული ტაეპი „მას ვით შეგვადრო არ ვიცი“, შესსმა სოტბისა... უსაფუძვლო არის; უნდა დარჩენილიყო ის ვარიანტი, რომელიც დაბეჭდილია, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ „მას არა ვიცი შეგვადრო“-ს მაგიერ უნდა დაწერილიყო „მასა რა ვიცი შეგვადრო“. რედაქცია ვერ დაითანხმა აკაკიმ ყველა ამ საგნებზე და რადგანაც ბაასი ძლიერ გრძელდებოდა და აკაკი ამ გვარსვე შენიშვნას ყოველს ცვლილებაზე აპირებდა, სხდომამ ამ გვარი შენიშვნის გარჩევა გადასდვა იმ დროსთვის, როდესაც ის გაათავებდა ხელ-ნაწერების შეთანხმებას და კიდევ ერთჯერ დაუბრუნდებოდა და თვალს გადააელებდა მთელ წიგნს. ამ გვარი გარდაწყვეტილებით, ის ცვლილება, რომელიც მიღებული იქნება ეხლანდელს სხდომებში და გაზეთით გამოცხადდება საყოველთაოდ, არ არის რედაციის უკანასკნელი სიტყვა. მთელი პოემის წაკითხვამ და შენიშვნამ, რომელსაც რედაქცია ელის „ვეფხის ტყაოსნის“ მოყვარულთა და მცოდნეთაგან, შეიძლება, კიდევ შეაცვლევინოს მას თავისი აზრი.

მაშ ნუ მოაკლებთ, მკითხველნო, თქვენს რჩევას ამ საქმის მოთავეთა.

*

ამ საღამოს წაკითხულ-იქმნა თავიდამ ბოლომდის. „ამბავი როსტევან არაბთა მეფისა. ეს კარი „ვეფხის ტყაოსნისა“ შეიცავს ორმოცდა-თორმეტ ხანას.

ჯერ მოვიყვანთ აქ იმ ცვლილებას, რომელიც მოხდა თითონ ტექსტში. შემდეგ იმ ადგილებსა, რომლებიც სხოლიოში იქნებიან მოყვანილნი სხვა-და-სხვა ვარიანტებიდამ და ბოლოს ზოგიერთა ძნელად გასაგები ადგილების განმარტებას.

რადგანაც მთელი ტაეპის დაბეჭდვა ბევრ ადგილს დაიჭერს გაზეთში, მე მომყავს მხოლოდ ცარიელი სიტყვები, უაზროთ. ეს რიგი ანგარიშისა, პირველ შთაბეჭდილებისთვის, თუმცა არ არის კარგი, მაგრამ საქმისთვის კი ერთია. მსურველთა შეუძლიან აიღონ ვეფხის ტყაოსანი და ისე განსაჯონ რედაქციის ცვლილება.

აი ეს ცვლილებაებიც:

34	ხანაში დაისსნა	გასწორდა დაისსნა
35	„ გვითხავთ	„ გვითხავ
36	„ გარდასრულვარ	„ გარდასულვარ
37	„ სული	„ სუნი
—	„ ვეზირთა	„ ვაზირთა
38	„ ბძანებ	„ ბრძანებ
—	„ განალამცა	„ გადანამცა

მეორმოცე ხანაში, მეორე ტაეპი:

სარდასა მჯობი ნაზარდი, მსგავსი მზისა...

გასწორდა:

სარდასა მსგავსი ნაზარდი, მჯობი მზისა...

41	ხანაში ქონდა	გასწორდა ქონდის
42	„ მისნა ქალისა	„ მის სოქალისა
46	„ მეფეთა	„ მეფემან
—	„ ტეზილთა	„ მათთა
49	„ სწორედ	„ სწორად
57	„ თქვეს	„ სთქვეს
58	„ ცრაა	„ რამცა
—	„ რასათვისცა	„ რასათვისმცა
60	„ ბეტინის	„ ბეტინის
—	„ ეოლამცა	„ ეოლემცა

სამოც-და-პირველ ხანაში, მესამე ტაეპი:

... დაუმადლა, ბრძანებანი უიმედნა.

გასწორდა:

... დაუმადლა, წყალობანი უიმედნა.

63	ხანაში მგვანდა	გასწორდა მგვანდეს
64	„ გამომგრთალთა	„ გამომგრთალსა
65	„ გაწყურეო	„ გასწურეო
67	„ სვანია	„ ყმანია
70	„ ბრძანებს	„ ბრძანა

სამოც-და-მეთერთმეტე ხანაში, მეორე ტაეპი:

დასტევით ჯოგი მრავალი...

გასწორდა:

დასტევით ჯოგი სადირთა...

72	ხანაში აწვევდა	გასწორდა იწვევდა
76	„ მაესროდეს	„ მიისროდეს
—	„ მიასსმიდეს	„ მოასსმიდეს

სამოც-და-თერთმეტსავე ხანაში, მეოთხე ტაეპი:

... წადმა ბიჯსა ვერ წასდგმიდეს.

გასწორდა:

... ბიჯსა წადმა ვერ წასდგმიდეს.

სამოც-და-მეთერამეტე ხანაში, მეორე ტაეპი:

... და წყალსა იქით კდდენია.

გასწორდა.

... და წყლისა პირსა კდდენია.

79	ხანაში ბრძანა	გასწორდა უბრძანა
80	„ ვისგან	„ მისგან
81	„ უჩანს, ვით	„ უჩნს, ვითა

ეს არის ტექსტისთვის დანიშნული ცვლილება. ეხლა სხოლიოსთვის შენახული ვარიანტებიც მოვიხსენებოთ:

33	ხანაში მისად	გასწორდა მისდა
36	„ იგი	„ მისი
37	„ გასმეს	„ დაჭვნეს
44	„ სრულნი	„ სრულად
45	„ ზემსედგელითა	„ ბრძნებ მსედველითა
47	„ მამა ყოველი	„ მამის მტნებანი
53	„ სიკვაყისა	„ სიყრმიდამგე
81	„ შეუტეორცა	„ შეუტეორცა
83	„ სვეთასა	„ ტეეთასა

სიტყვების და ჰაზრების განმარტებაზე, სხვათა შორის, ითქვა:

ი. ჭაეჭაეაძე. რუსთველის ფრაზაში: „ენა ბევრათ ასული“ სიტყვა ასული წარმოდგება სიტყვიდამ ასი.

ი. მაჩაბელი. აქ ასული ნიშნავს მაღლათ ასულს, კარგათ მოლაპარაკე ენას.

ამ უკანასკნელის ჰაზრისა იყო უმრავლესობა რედაქციისა.

ორი ტაეპი 42 და 77 ხანებისა:

„ვთანდიდეს მისგდა სიმე ვსებ სჭირს
მის სოქალისა“.

და

„ვთანდიდეს შემსედველთა: ჭვავს, ალვა,
ედემს ისხესა“.

დარჩნენ, როგორც გრამმატიკულათ, ისე აზრის მხრით, გაუგებარნი.

48 ხანის, მესამე ტაეპს:

აქადგან ესე სამეფო მარო შენია მოსდობილი“

კილი დასდვეს როგორც სუსტს, ცეზურის მხრით.

ამ გვარი ხმელი აღრიცხვით გავათავოთ ეს საღამო. შემდეგისთვის ვეცდებით, რომ თითონ ბაასი მოვიყვანოთ აქ, რამდენათაც ეს შესაძლებელი იქმნება.

მანამდის კი ორიოდე სიტყვა „ვეფხის ტყაოსნის კითხვაზე. მე ვფიქრობ, რომ ჯერ კიდევ არ დაბადებულა ის კაცი, რომელმაც „ვეფხვის ტყაოსანი კი არა, უბრალო ქართული ლექსი წაიკითხოს, როგორც რიგი და წესია კითხვისა. დაბადების კი, მართლა, რა მოგახსენოთ, მაგრამ ეს კი ნამდვილია, რომ სწავლით არავის დაუსწავლია რიგიანი კითხვა ამ პოემისა. ილია ჭავჭავაძე, რომელიც ამ საღამოს კითხულობდა „ვეფხის ტყაოსანს“, საზოგადოთ კარგი მკითხველია. იმას მშვენიერი ხმა აქვს, მშვენიერი გამოთქმა, ჩინებული კილო, მის კითხვაში ნამდვილი ქართული სიმების ქნერა ისმის, მაგრამ, თითონ კითხვაში კი, იმას ხელოვნება აკლია, რაღაც გამოუთქმელ სიამოვნებას ვპოვებ მე ჭავჭავაძის კითხვაში, როდესაც ის თავისი ხმის სასიამოვნო ტემბრით შემოსძახებს:

„მაგას ნუ ბრძანებ, ძეგო, ჯერ
ვარდი არ დაგჭნობია“

რაღაც დედული, რაღაც გრძნობისთვის სასიამოვნო რამ ისმის ამ ხმაში, ამ ერის გულიდამ გამოსულ სიტყვების განმეორებაში. მაგრამ რა გინდა, რომ სულ ამ ბუნებით კილოს, ამ გულის

ხმას მისდევს ბატ. ილია და ყველა ადგილებს ერთ და იგივე გვარად ამბობს?!

ი. მუნარგია

P. S. შემდეგი სხდომა რედაქციისა იქმნება პარასკევს, 20 თებერვალს საღამოს 8 საათზე, თბილისის საადგილ-მამულო ბანკში. ვისაც უნდოდეს რამე შენიშვნის გამოგზავნა შესახებ რედაქციისა, ან საზოგადოთ ვეფხის ტყაოსანზე, რუსთველზე, ძველ ვარიანტებზე, ესთხოვთ მოიწეროს დროება-ივერიის რედაქციაში.

ი. მ.

თფილისის სამკურნალო

ავათმყოფები მიიღებიან დილის ცხრა საათიდან ვიდრე ნაშუადღევის პირველ საათამდინ.

ორშაბათს. გვრანსკი — ექიმი ბებიაობისა და ქალების ავათმყოფობისა; გორალეკინი და ლისიცოვი — შიგნავან ავათმყოფობისა; **როტინიანცი** — ქალებისა და უმაწვილების ავათმყოფობისა, ბაბაევი სისუსტის და შინაგან ავათმყოფობისა; **შტემბორსკი** ვენერიულ და ტუკვის ავათმყოფობისა.

სამშაბათს. მინკევიჩი — სირუგიული ავათმყოფ.; რეიხი — თვალების ავათმყოფობისა; ბასუტოვი — ბებიაობისა, ქალებისა და უმაწვილების ავათმყოფობისა; **ბეტროვსკი** — ვენერიულ ავათმყოფობისა,

ოთხშაბათს. კრასნოგორსკი და ლისიცოვი შინაგან ავათმყოფობისა; ქიუჩარიანცი და **შტემბორსკი** — რიფიდიტიკური და ტუკვის ავათმყოფობისა.

ხუთშაბათი გვერონსკი — ბებიაობისა და ქალების ავათმყოფ.; **როტინიანცი** — ქალებისა და უმაწვილების ავათმყოფ.; ბაბაევი ძარღვების სისუსტისა და ელექტრო-ტერაპიისა ლისიცოვი და **ბეტროვსკი** შინაგან ავათმყოფობისა; ქიუჩარიანცი 1-ლი სიფილისტიკური ავათმყოფობის.

პარასკევს. მინკევიჩი — სირუგიულ ავათმყოფობის; ბასუტოვი — ბებიაობისა, ქალებისა და უმაწვილების ავათმყოფობისა; კრასნოგლაზოვი, ლისიცოვი და გერმიშოვი — შინაგან ავათმყოფობისა; **შტემბორსკი** — ვენერიულ. და ტუკვის ავათმყოფობისა.

შაბათი. ლისიცოვი — შინაგან ავათმყოფობის. რეიხი — თვალების ავათმყოფობისა; ბაბაევი — ძარღვების **სისუსტისა** და შინაგან ავათმყოფობის; ქიუჩარიანცი 2-რე — ქალებისა და შინაგან ავათმყოფობისა.

ობრუსტი — **კბილის** ავათმყოფებს, მიიღებს თავის სახლში მუდამ დროს დარიბებს საავათმყოფოს ბარათებით.

განცხადებანი

თფილისის ცხოველთ დამფარველი საზოგადოება იწვევს ბ.ბ. წევრთ, ამ საზოგადოების საზოგადო ყრილობის სხდომაზედ 20 თებერვალს, პარასკევს 8-ს სასეგარ საათზედ, საღამოს, კაზკასიის **საძეურნეო** საზოგადოების საადგომში. **განსარჩევი საგნები:**

ა) მოსკოვის გამოფენისათვის დანიშნული ნივთების გარდათვალიერება.

ბ) **საზოგადოების** გამოფენებ**ის** განხილვა და ღონის-ძიება მათ გასავრცელებლათ.

გ) წევრის ა. მინეევის წინადადება და სხვ.

გარეშე პირნიც მიიშვებიან სხდომაზედ.

ბ.ბ. წევრთ ვაგონებთ ამ წლის საწევრო გარდასახადის შემოტანას.

(3—1).

არწრუნის თეატრში

ოთხშაბათს, 18 თებერვალს

ქართულ ტრუპპისაგან წარმოიდგინება

I

ჯერ დაიხოცნენ

მერე დაქორწილდნენ

ვოდევილი 2 მოქმედ. რ. ერისთვისა.

II

ბიძიასთან გამოხუმრება

ვოდევილი 1 მოქმედ. რ. ერისთვისა.

III

დივერტისმენტი

—

პარასკევს, 20 თებერვალს

I

პრისტავი

კომედია 2 მოქმედ. რ. ერისთვისა.

II

მოტია

ვოდევილი 1 მოქმედებად.

ბილეთები ისყიდება არწრუნის თეატრის კასასა.

დასაწყისი 8 საათზე.

სამშაბათს; 17 თებერვალს

ქართულის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სასარგებლოთ, თბილისის კრუჟოკში იქნება გამართული

ბალი

ქალები ვალდებულნი არ არიან გულ-ამოჭრილი კაბით იყვნენ. კავალერები კი უნდა მობრძანდნენ ან მუნდირით, ან ფრაკით და ანნაციონალური ტანისამოსით.

ბილეთები ისყიდება საადგილ-მამულო ბანკში 10-დამ 2 საათამდინ, შაევრდოვის ბაზეთის საგენტოში და ბალის საღამოს „კრუჟოკში“. 6—6

დასყიდვის ფასებით:

სიზამთრო ბალტოები 12 მანეთიდამ; ფუფაიკები 2 მან. 50 კ.; ქუდები 1 მანეთიდამ., ფოდნოსები 5 კაპეიკიდამ; თოფშები 12 კაპ. თითო; **ინდუსის** ბრინჯი 10 კ. გირვ.; ინგლისური კამფეტები 40 კაპეიკიდამ, და ჩაი, რომელიც ეკვლგან 2 მ. 50 კ. ღირს, ისყიდება 1 მან. 80 კ.

ინგლისის მაღაზიაში, არწრუნის ქალაქურეაში. (20—1).

ადვოკატმა

ევგენი დიმიტრის ძემ ტიხომიროვმა

გაათავა რა საქმეები ქუთაისში, გადმოვიდა თბილისში, და ამით აცნობებს თავის კლიენტებს და საქმის რჩევის მსურველებს; რომ ის მიიღებს იმათ დილის 8—11 საათამდინ და საღამოს 5—8 საათამდინ. ბოლოვინის პროსპექტი „პარიქის“ სასტუმრო № 3. (3—1)

ისყიდება ჩაი გირვანქობით, სამდვილი ბრატია **К. и С.** ბაბაევისა. მანეთში ოთხი კაპეიკის გამორიცხვით.

არწრუნის ქარვასლაშია, სიონის სობორის ახლო, ივინე ალხაზოვის კანტორაში. (3—1).

ინგლისის მაღაზია

Maison de confiance

ადრეთ ნაგანი ჩაი—1 მ. 10 კ.	ბოლოგის ჩაი—1 მ 40 კ
— — —1—20	— —1—60
— — —1—40	— —1—80
— — —1—60	— —2— „
— — —1—80	— —2—50
საუკეთესო—2— „	— —3— „

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კროტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასალებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქალალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურამები, მაგნეზია, უნაგირები, კლეიონკა, წინდები — კაცისა და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოშინ კალენკორი — სულ ყველიაფერი 25. დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში,

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ იხდის. (100—96)

სოლოლაკში, ერეკლეს ქუჩაზე, მირზოევის (ხატისოვის) სახლებში, № 6 გაიხსნა

თეასლისა და ყვავილების

მაღაზია

აქვე ისყიდება **წიგნები და ჟურნალები** რუსულს და სხვა ენებზე. (5—5)

ლონდონის მაღაზია კომერციული ბანკის ქვეშ დაარსებულია ნამდვილი ჩაის გასასყიდლათ პირველი მოკრეფილისა და სუკეთესო ინგლისური საქონლისა: მაგალითებრ: თოფებისა, რევოლვერებისა, კლიტეებისა, ჭურჭლებისა, კრავატებისა, დანებისა, კოვზებისა, ჩაინიკებისა, შოკოლადისა, კაკაოსი, დუსებისა, საპონისა, შოკოლადებისა, ცხვირ-სახოცისა, ქალალდისა, კარანდაშებისა, კალმებისა, უსაგრებისა, სუკრისისა (გემრიელი კლეშჩვინი ზეთისა) და სხვ. საგენტო მაკინტოშის მოსასურავებს გასასყიდლად კანფეტების და ბატკერის და კაშ. მურაბისა, აგრეთვე ჩულქებისა და ფანდებისა ნოტინგამიდან. ნამდვილი ინგლისური სიგარები. (100—29)

ლონდონის მაღაზია

ერევნის მოედანზე № 2, კომერციულ ბანკის ქვეშ, დაარსებულია წმინდა ძიახტის და ჩინეთის პირველი მოწვეის ჩაის გასაყიდველად დ ასაუკეთესო ინგლისის საქონლებისა, მაგალითად: თოფების, რევოლვერებისა, ბოქლომთა, ტაბაკების (ფოდნოსი) კრავატების, დანა-ჩანგლების, საჩაიე, ჭიქების, შოკოლადის, კაკაოს, გემრიელი სუკრის ერბო, სასურნელელის, საპონის, ცხვირ-სახოცების, შჩოთკი წინდების, ჩულქების, კარანდაშების, რკინის კალმების და სხვ...

(100—37)

მიუხედავათ იმისა, რომ ბაჟი მოიმატა, საქონელი გაიყიდება ისევ იმ ფასად, როგორც წინეთ იყო: კონგო-ჩაი 1 მ. 5 კ. და 1 მ. 10 კ.; საუკეთესო მინინგი 1 მ. 20 კ. და 1 მ. 40 კ., მშვენიერი კაისაუ 1 მ. 60 კ. და 1 მ. 80 კ. ძრიელ კარგი ჩაი 2 მ. გირვანქა უქაღალდოთ.

ინგლისური რევოლვერები 4 მ.—40 მანეთამდის და თოფები 20—200 მანეთამდინ. **ინგლისის მაღაზიაში.** საუკეტო ბარნსების უნაგრების გასასყიდლათ, ჯონსის კლიტეებისა, შოკოლადისა და ეკსტრაქტისა კაკაო ფრაის, რომელთაც დაიმსახურეს პარიქის მსოფლიო გამოფენაზედ ოქრის მედალი. გირვანქა არომატიული ჩაისა ლამაზი ჩაინიკით 1 მ. 65 კ. და სულ საუკეთესო 2 მ. 30 კ. ვაჭრები მოიგებენ, თუ იყიდიან ბლომათ **ინგლისის მაღაზიაში.** მთელი კოსტიუმი 15 მ. ხვეულების კონფეტები 60 კ. ერთი გირვანქა.

100—26

კატენტიანი ფეხოტკები

თმებისათვის 1 მ. 50-დამ და **ცხენებისათვის** 1 მ. 75-დამ; **ეკვეილები** **სახურავებით** 2 მანეთიდამ; **სარძეგე** 30 კაპ.; **რუმკები** 5 კ.-დამ; **ფილტრები** (წყლის **დასაწმენდი**) 3 მ-დამ **და** **ვედრები** 1 მან-დამ; **თოფშები** 2 მ-დამ **ინიდუკ**; **შოკოლადის** **კანფეთები** 20 **კ-დამ** თითო **ყუთი** **და** **სხვ.** **ინგლიურს** **მაღაზიაში.** (100—97)

ყველაზედ უფრო ბევრი საქონელი კავკაზის ქალთა მსრეში **ინგლისის მაღაზიაშია,** არწრუნის გალერეაში: ღირს სანახავად.

ისყიდება საზამთრო მოსასურავები, ტანისამოსები, მაუდები, ტრიკო, თეფშები და მურაბები. 500,000 კლიტეები, ფანდოსები და კალმები 30% უფრო იაფად, ვიდრე სადმე სხვაგან. 2—8

ისყიდება ყოველ-გვარი **თუჯისა** **და** **სპილენძის** **ნივთები** **ბადასადნოლ-ბად** — წმ. გიორგის ეკლესიასთან, მდიანის სახლებში, კახურ ღვინის სარდაფში. (25—18)

Дозволено цензурою, Тифлисъ 16 Февраля 1881 г. Типографія Мелихова ბამბ. ს. ამლიძიშვილი· რედაქტორები ილ. ჭავჭავაძე და ს. ამსხი